ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4234164

ნომერი: AR1639201

თარიღი : 22.10.2018

გაცემის თარიღი : 25.10.2018

გაცნობის თარიღი : 25.10.2018

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ლისი , ,,ჭეების მიწა";

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნიკოლოზ ალიბეგაშვილი პ/ნ 01010011882
- თბილისი, ლისი ვერანდა, ტირიფების ქ. B2 ბინა 19

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- III კლასი
- ახალი მშენებლობა
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.არსებობის შემთხვევაში სამსახურის მიერ შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 3677674
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 13.11.2017

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მცირე ზომის პავილიონის ტიპის მოურუმი საცავები და საოფისე
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ნიკოლოზ მაღალაშვილი

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შ.პ.ს "გეო პარკი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 205261429
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ნიკოლოზ ალიბეგაშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01010011882

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 2830.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 748.12
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 1366.67
- .საოფისე ფართობი (კვ.მ).: 154.4
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 89.59
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 83.05
- .სასაწყობე ფართობი (კვ.მ).: 582.61
- .დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 247.02
- .ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 210.0
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 6151.94
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 4523.91
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 1628.03
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 11.45
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 8.1
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 3.35
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : კ1=748.12/2830=კ1 0.3
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : კ2=937.51/2830=კ2 0.3
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : კ3=1192.5/2830=კ3 0.4

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

№AR1639201 ელექტრონული განცხადებით დაყენებული მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ” ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე (დანართი №4) კომპლექსური კვლევისა და მის საფუძველზე „ჩარჩო გეგმის” შემუშავებამდე შეიზღუდა მიწის ნაკვეთების ნებისმიერი ფორმით სამშენებლოდ განვითარება (მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობე-ბის დამტკიცება, არქიტექ-ტურულ-სამშენებლო პროექტის შეთანხმება, მშენებლობის ნებართვის გაცემა, I კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობაზე წერილობითი დასტურის გაცემა). აღნიშნული შეზღუდვა ვრცელდება, ასევე, იმ მიწის ნაკვეთებზე, რომელთა მიმართაც ამავე პუნქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ წარმოებებთან დაკავშირებით წარმოდგენილია დაინტერესებული პირების განცხადებები, თუმცა, ადმინისტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება წინამდებარე ნორმის ამოქმედების დროისათვის მიღებული არ არის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთი, მდებარეობს ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიის არეალში და არ არის საპროექტო ტერიტორიაზე დამუშავებულია „ჩარჩო გეგმა“ რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებული იქნებოდა განაშენიანების რეგულირებისა (წითელი ხაზ(ებ)ი) და განაშენიანების სავალდებულო ხაზები (ლურჯი ხაზები) სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას ამ ეტაპზე დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.